გამომცემი: ა(ა)იპ „ქართული მედია ჯგუფი“, კატო მიქელაძის გაზეთის მიხედვით

ხმა ქართველი ქალისა

21 ივნისი, 2023 წელი. გაზეთი ვრცელდება უფასოდ

№4 გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში ვრცელდება

„ქართული მედია ჯგუფი“ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ აძვში სკოლის პედაგოგებს შეხვდა. მათ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ გადაეცათ და გამოცემის აღდგენის შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ. შეხვედრას GMG-ს ხელმძღვანელი, ნინო ჩიბჩიური უძღვებოდა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას შიდა ქართლში მცხოვრებ ძლიერ ქალებზე, ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მასალები წარუდგინა.

„გავაცანით ჩვენი გაზეთის მუშაობის მიმართულებები და ძირითადი ამოცანები. შევთავაზეთ, რომ გამოგვიგზავნონ წერილები, მათთვის მისაბაძ ქალებზე ან პირად ისტორიებზე, რომლებსაც მომდევნო ნომერში დავუბეჭდავთ. სასიხარულოა, რომ ნაბეჭდმა ვერსიამ დღევანდელ ტექნოლოგიურ ეპოქაში დიდი დაინტერესება გამოიწვია და აღნიშნეს, რომ წლებია სოფელში არანაირი გაზეთი არ გავრცელებულა. მკითხველმა ალბათ უკვე იცის, რომ ჩვენი გაზეთი სწორედ საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლებში ვრცელდება, სადაც მოსახლეობის ნაწილს ინტერნეტთან წვდომა არ აქვს. ამ პროცესში რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტიდან წარმოდგენილი აქტივისტი ქალები გვეხმარებიან, რომლებმაც პროექტის ფარგლებში სპეციალური გადამზადების კურსი გაიარეს, აკვირდებიან გენდერული თანასწორობისა და ადგილობრივი მედიის მუშაობას, თუ რა დოზით უთმობენ ისინი დროს ქალთა უფლებებთან დაკავშირებული თემების განხილვას. ვფიქრობთ, პროექტის დასასრულს ბევრი საინტერესო მიგნება გვექნება მონიტორინგის შედეგების სახით, რასაც ასევე გავაცნობთ საზოგადოებას“ – აღნიშნა ნინო ჩიბჩიურმა.

პროექტი, რომლის ფარგლებშიც გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ იბეჭდება, „ქალთა ფონდის“ მიერაა მხარდაჭერილი და მას შიდა ქართლში „ქართული მედია ჯგუფი“ ახორციელებს.

ლელა ლოგჟანიძე

როგორ აშუქებენ ჟურნალისტები ქალთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს – შიდა ქართლში მედიის მონიტორინგს „ქართული მედია ჯგუფი" ახორციელებს

„ქართული მედია ჯგუფი" შიდა ქართლში მედიის მონიტორინგს ახორციელებს. ორგანიზაციის გუნდი ყოველთვიურად აჯამებს იმ მონაცემებს, რომელსაც მისი წარმომდგენლები გორის, ქარელის, ხაშურის და ქარელის მუნიციპალიტეტებიდან აწვდიან. ქალები შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში ორგანიზაციის მიერ გადამზადებული ქალები მუშაობენ.

1 მაისიდან, 1 ივნისის პერიოდში, მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა რომ მომზადებულ მასალებში წინა თვის მსგავსად, იშვიათად, არის გამოყენებული გენდერული სტატისტიკა. ამასთან ზოგიერთი მედიასაშუალება დროის უმეტეს ნაწილს ისეთ თემებს უთმობს, სადაც რესპონდენტებად კაცები ჭარბობენ.

ლიკა მზარეულიშვილი ერთ-ერთია იმ გადამზადებულ ქალებს შორის, რომელიც პროექტის ფარგლებში მედიის მუშაობას აკვირდება. მისი თქმით, შეხვდა ისეთი მალასები, როგორიცაა – სოფლის ინფრასტრუქტურა, სპორტი, თეატრალური წარმოდგენები და კულტურული ამბები, რესპონდენტებად კაცები ჭარბობენ და ვიზუალურ მასალაშიც უმეტესად ისინი არიან წარმოდგენილები.

„მედიას, რომელსაც მე ვაკვირდები ქალთა უფლებრივ საკითხებზე ამ პერიოდში არცერთი მასალა არ მოუმზადებია, რესპონდენტთა უმრავლესობასაც კაცები შეადგენდნენ. მასალის ავტორებიც ამ შემთხვევაში კაცები არიან. შეიძლება ითქვას, რომ ეს მედიასაშუალება საერთოდ არ უთმობს დროს გენდერულ საკითხებს და არ ზრუნავს ბალანსის დაცვაზე, როგორც რესპონდენტების ჩაწერისას ისე შერჩეული თემებიდან გამომდინარე", – ამბობს ლიკა მზარეულიშვილი.

განსხვავებული შედეგი აჩვენა სხვა მედიასაშუალებების მონიტორინგმა, თუმცა კვლევის ავტორების თქმით, ქალსა და კაც რესპონდენტებს შორის კვლავ დისბალანსია, ეს კი მკაფიოდ ჩანს პოლიტიკურ საკითხებზე მომზადებულ მასალებში.

„ქართული მედია ჯგუფი" – შიდა ქართლში მოქმედ მედიასაშულებებს „ქალთა ფონდის" მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებშში აკვირდება. მონიტორინგს კი რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტიდან წარმოდგენილი სპეციალურად გადამზადებული ჯგუფი ახორციელებს. საბოლოო შედეგებს ორგანიზაცია პროექტის დასკვნით ღონისძიებაზე, შემოდგომისთვის წარადგენს.

ლელა ლოგჭანიძე

დევნილთა დასახლებებში საინიციატივო ჯგუფები შეიქმნება – საკითხი გორში, გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე განიხილეს

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების ინიციატივით, დევნილთა დასახლებებში საინიციატივო ჯგუფები შეიქმნება. საბჭომ მაისის სხდომაზე, გასვლითი შეხვედრები დააანონსა და მოსახლეობასთან ამ ინიციატივის უფრო დეტალურად განხილვა გადაწყვიტა.

„ჩვენ ვიწყებთ გასვლით შეხვედრებს მოსახლეობასთან, სადაც აუცილებლად შევარჩევთ საინიციატივო ჯგუფებს. ჯერ დავიწყებთ დევნილთა დასახლებებიდან, ხოლო შემდეგ გავალთ სხვა სოფლებში. აქცენტს გავაკეთებთ ქალებსა და ახალგაზრდებზე, რადგან გვსურს მოვისმინოთ მათი პრობლემები, შემდგომში მათი გადაჭრის მიზნით. შეძლებისდაგვარად მოხდება ამ პრობლემების ასახვა მომავალი წლის ბიუჯეტში, რათა მომავალი წლის ფინანსური დოკუმენტი იყოს გენდერულად მგრძნობიარე და ბევრი საკითხი იყოს გათვალისწინებული ამ კუთხით. ძირითადად 2022-2024 წლის სამოქმედო გეგმის საკითხებზე გვექნება მუშაობა". – აღნიშნა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმდჯომარის მოადგილემ, თამარ მურალოვამ. მისი თქმით, თვითმმართველობის საქმიანობაში, მეტი ქალის და ახალგაზრდის ჩართულობა, მათი საჭიროებების წინ წამოწევით უფრო ეფექტურს გახდის მუნიციპალიტეტის მუშაობას.

„ვფიქრობ უნდა დავაინტერესოთ, რაც შეიძლება მეტი ქალი, მეტი ახალგაზრდა, მოვიყვანოთ და გავაცნოთ თვითმმართველობის საქმიანობა, დავასწროთ საკრებულოს სხდომებს და იგრძნონ, რომ ნამდვილად თვითმმართველობის ბატონ-პატრონები არიან და ჩვენ ფაქტიურად მათ მიერ მოწოდებული ინიციატივებით უნდა ვიყოთ უფრო მეტად აქტიურები. გვაქვს გეგმა გაწერილი და ვცდილობთ ამ გეგმიდან არ ამოვვარდეთ და ყველა საკითხი იყოს თანმიმდევრული". – აღნიშნა მურალოვამ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა 31 მაისს ჩატარდა, სადაც დღის წესრიგით 6 საკითხი იყო განხილული. მიუხედავად იმისა, რომ მის წევრებად ოპოზიციენოერი დეპუტატები და არასამთავრობო სექტორის წევრებიც მოიაზრებიან, ბოლო სხდომას მხოლოდ მმართველი გუნდის წარმომადგენლები დაესწრნენ. როგორც გაირკვა არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, საბჭოს წევრის მანდატი დატოვა, რომლის ადგილმონაცვლე მესამე სექტორმა არჩევნების წესით უნდა შეარჩიოს.

დებულების მიხედვით, საბჭოს წევრები არსებული საკითხების განსახილველად, მინიმუმ სამთვეში ერთხელ იკრიბებიან.

შორენა ბიჭიკაშვილი

კასპში, 2023 წლის იანვარ-ივნისში, გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა არცერთხელ ჩატარებულა

კასპის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაცია არსად იძებნება. საბჭოს ბოლო სხდომის თარიღს ვერ იხსენებენ, ვერც საკრებულოში და ვერც მერიაში ის ადამიანები, რომლებიც საბჭოს შემადგენლობაში შედიან.

რამდენიმე კვირაა „ქართული მედია ჯგუფი“ ცდილობს მათთან გასაუბრებას, თუმცა ნაწილი სატელეფონო ზარებს არ პასუხობს, ნაწილი კი 14 ივნისს, 15:00 საათიდან (დღის ბოლომდე) ადგილზე არ იმყოფებოდა. სამუშაო საათებში მათი არ ყოფნის მიზეზით დაინტერესებისას, ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ისინი „სამძიმარზე გაუშვა“.

კასპის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის დებულება 2018 წელს დამტკიცდა, რომლის თანახმად, საბჭოს სხდომას 3 თვეში ერთხელ მაინც იწვევს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით ან საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.

კასპის საკრებულოს თავმჯდომარე ირწმუნება, რომ წელს, მათ გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა გაზაფულზე ჩაატარეს, თუმცა არც ანონსი, არც რაიმე ოქმი, ფოტო ან ვიდეო მასალა არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, „ქართული მედია ჯგუფისთვის“ არ მიუწოდებიათ.

რაც შეეხება გენდერული თანასწორობის საბჭოსთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, ამ დრომდე კასპის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე მხოლოდ 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმა და საბჭოს შემადგენლობაა გამოქვეყნებული.

გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობას „ქართული მედია ჯგუფი“ შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში აკვირდება და მონიტორინგის შედეგებს შემოდგომამდე გამოაქვეყნებს. პროექტი „ქალთა ფონდის“ მხარდაჭერით ხორციელდება.

ნინო ჩიბჩიური

„ქალებს დიდი შრომა გვჭირდება საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ ნამდვილად შეგვიძლია მათი ინტერესების გათავისება და პრობლემების გადაწყვეტა“ – ლია მამულაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მოწვევის საკრებულოში 82 ადამიანი მუშაობს, მათგან უმრავლესობას კაცები შეადგენენ. ქალების დიდი ნაწილი შემსრულებელ პოზიციაზეა დასაქმებული.

გასულ წლებთან შედარებით, საკრებულოს წევრებს შორის გენდერული ბალანსი გაუმჯობესდა, თუმცა ქალები ისევ უმცირესობაში არიან. 38 დეპუტატიდან ქალი მხოლოდ 10-ია. ერთ-ერთი მათგანია ლია მამულაშვილი, რომელსაც გორელები ძირითადად უნივერსიტეტიდან იცნობდნენ, 2021 წლიდან კი ის საკრებულოს წევრია და ამავე დროს ხელმძღვანელობს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას. რა არის საჭირო ქალისთვის პოლიტიკაში მოსასვლელად და რა გამოწვევების გადალახვა უწევთ მათ სქესის გამო, ამ საკითხებზე მან ჩვენი გაზეთის კითხვებს უპასუხა.

– პირველ რიგში გვითხარით, რა იყო ის მთავარი საფუძველი, რამაც გადაგაწყვეტინათ პოლიტიკაში ჩართვა, რამდენად რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, რა იყო ის საკითხები, რაც იწვევდა თქვენში ყოყმანს, დათანხმებოდით თუ არა ამ შესაძლებლობას?

– გადაწყვეტილების მიღება, რომ პოლიტიკაში ჩავრთულიყავი რა თქმა უნდა რთული იყო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მანამდე პოლიტიკასთან შეხება ნაკლებად მქონდა, რა თქმა უნდა ვფიქრობდი შევძლებდი თუ არა სიკეთის მოტანას მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და გავამართლებდი თუ არა მათ ნდობას. მაღალი პასუხისმგებლობა არ მაძლევდა ამ ნაბიჯის ადვილად და ფიქრის გარეშე გადადგმის საშუალებას. ვიცოდი, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დამჭირდებოდა დამატებით მუშაობა საკუთარ თავზე, დრო, ენერგია და სხვათა პრობლემების დანახვა/გადაჭრა. პოლიტიკაში ჩართვა გადამაწყვეტინა იმ გუნდის პროფესიონალიზმმა და გაცნობამ, ვისთან ერთადაც მომიწევდა მუშაობა და ადამიანებისათვის სიკეთის კეთების დიდმა სურვილმა.

– რა ბარიერები ხვდებათ პოლიტიკაში ჩართულ ქალებს, თქვენ მაგალითად, რა სირთულეების გადალახვა მოგიხდათ როგორც ქალ პოლიტიკოსს?

– საერთოდ პოლიტიკაში ჩართულ ადამიანებს, მათ შორის რა თქმა უნდა ქალებსაც, გარკვეული ბარიერების გადალახვა გვიწევს. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმიანობაში ძალიან დიდი ძალისხმევა გვჭირდება და სხვებზე მეტად გვინდა ვაკეთოთ ხალხისათვის საჭირო საქმე, ხანდახან შეიძლება დაუმსახურებლად გავხდეთ კრიტიკის ობიექტი. თმენის ვალდებულებიდან და ხალხის დიდი ნაწილის ნდობიდან გამომდინარე, ვცდილობთ არ გავამახვილოთ ყურადღება ამაზე და არ დავხარჯოთ დრო.

– გორის საკრებულოში, როდესაც საკითხების განხილვა მიმდინარეობს, რამდენად გათვალისწინებულია გენდერული ბალანსი. აქვს თუ არა ადგილი გარკვეულ სტერეოტიპებს, მაგალითად, შენ ქალი ხარ და გაჩუმდი, ან ქალი ხარ და ზედმეტს ვერ გკადრებ და ასეთი ფრაზები, ან რამე მსგავსი?

– გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მსგავსი სტერეოტიპები არ მახსენდება. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით საკრებულოს წევრ ქალთა საქმიანობა საკმაოდ კომფორტულია და ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტის დროს, გენდერული თანასწორობა დაცულია. ჩვენს მიერ დაყენებული საკითხების თუ მოსაზრებების გათვალისწინება მამაკაცების მხრიდან ხდება ხშირად, რაზეც საკრებულოს სხვა ქალებიც დამეთანხმებიან.

– რას გვეტყვით გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ამ გაერთიანების არსებობა და თქვენი შეხედულებით, რა აქვს დასახვეწი/გამოსასწორებელი ან რა რეკომენდაცია გექნებათ საბჭოს წევრების მიმართ?

– გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. მთელ მსოფლიოში ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, პოლიტიკური თანამდებობის დაკავებისა და არჩევის შედარებით ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, მიუხედავად ამისა, თუ გადავხედავთ წლების მიხედვით პოლიტიკურ ცხოვრებაში გაზრდილია ქალ კანდიდატთა და არჩეულ ქალთა რაოდენობა, ანუ არსებობს გარკვეული წინსვლის ნიშნები. გენდერული თანასწორობა ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ადამიანის უფლებათა დაცვასა და დემოკრატიის ფუნქციონირებაში. გორის მუნიციპალიტეტში საბჭოს ხელმძღვანელობს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, დავით რაზმაძე. გვაქვს სამუშაო გეგმა, რომელსაც აქტიურად ვახორციელებთ. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიზანია, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ქალთა გაძლიერების, ქალთა მონაწილეობითი პოლიტიკის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი და მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება. მე მხოლოდ მადლობა შემიძლია ვუთხრა გენდერული თანასწორობის საბჭოს თითოეულ წევრს.

– რა იქნება თქვნი გზავნილები იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქალის ადგილი სამზარეულოშია და მისი ძირითადი ფუნქცია დედობაა. რეალურად რა როლი აქვს ქალის ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში?

– უნდა აღინიშნოს, რომ ქალებზე საკმაოდ აქტიურად მოქმედებს გავრცელებული კულტურული წარმოდგენები და სტერეოტიპული შეხედულებები, საზოგადოებაში ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული როლის შესახებ. ქალების დიდი ნაწილი თვლის, რომ მამაკაცები ძირითადად უნდა იყვნენ დასაქმებულნი ეკონომიკასა და პოლიტიკურ სფეროებში, ხოლო ქალები უმეტესად პასუხისმგებელნი არიან საოჯახო საქმიანობაზე. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად დაინტერესებულნი არიან თვითონ ქალები, არჩევითი თანამდებობის დაკავებით, სურვილის შემთხვევაში რამდენად შეირჩევიან კანდიდატებად ქალები და ბოლოს, რამდენად წარმატებულნი იქნებიან არჩევის შემდეგ. იდეალური ვარიანტია, როდესაც ქალს შეუძლია აქტიურად შეუთავსოს ერთმანეთს ოჯახი და პოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობა.

– რა უნდა გაითვალისწინონ ქალებმა, რომლებიც აპირებენ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას, რა არის ამისთვის საჭირო, ხასიათი, უნარი და ა.შ. რისთვის უნდა იყვნენ მზად ქალები, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ მოვიდნენ პოლიტიკაში?

– ქალებს მინდა ვუთხრა, რომ პოლიტიკაში ჩართულობით, მეტად შეძლებენ საკუთარი წვლილი შეიტანონ კეთილი საქმეების განხორციელებაში. მნიშვნელოვანია, რომ თავადვე იცნობ გარშემომყოფთა პრობლემებს და პოლიტიკაში ყოფნისას გაქვს გარკვეული ბერკეტი მათ გადასაწყვეტად. ქალებს დიდი შრომა გვჭირდება საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ ნამდვილად შეგვიძლია მათი ინტერესებისა თუ პრობლემების გათავისება და გადაწყვეტა. ქალ პოლიტიკოსებს შეუძლიათ აქტიური ადვოკატირება გაუწიონ ქალთა საკითხებს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების შემთხვევაში. პოლიტიკაში ქალთა რაოდენობის ზრდისთვის, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტრენინგების მეშვეობით, საჭირო უნარების განმტკიცება საარჩევნო კამპანიისას. ქვეყანაში, როდესაც ქალი პოლიტიკოსები ძლიერები არიან, განსაკუთრებული პოზიტიური ცვლილებებია განათლების და ჯანდაცვის სფეროებში. ქალი ასევე გარკვეულწილად სამშვიდობო პროცესების ხელშემწყობია ქვეყანაში. ბოლოს კი, პოლიტიკაში ჩართვის მსურველ ქალებს მინდა ვუსურვო წარმატებები ამ რთულ გზაზე.

ესაუბრა ნინო ჩიბჩიური

სტერეოტიპებს შეწირული ქალის ცხოვრება და საზოგადოებისგან უგულებელყოფილი უსაზღვრო შესაძლებლობები

იყო ქალი, არ არის ადვილი. ქალობა უდიდესი პასუხისმგებლობაა საზოგადოების, ქვეყნის და რაც მთავარია ოჯახის წინაშე. ქალი ითავსებს უამრავ პროფესიას. მენეჯმენტიდან დაწყებული, შვილების გაზრდით და აღზრდით დამთავრებული. ამავე დროს უნდა შეინარჩუნოს ქალურობა. დედობა ხომ ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობაა. თუმცა ამის შესადარი ბედნიერება ჯერ არ გამოუგონიათ დედამიწაზე. მინდა გაზეთის მკითხველს პირადი გამოცდილებით გავუზიარო ის შესაძლებლობები, რაც ქალს გააჩნია და რომლის სიძლიერეს მხოლოდ საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულება და სტერეოტიპული მიდგომები აზიანებს.

ბავშვობა

დავიბადე სიყვარულით სავსე ოჯახში, თუმცა ეს ის პერიოდი იყო, როცა უამრავი გოგო არ იბადებოდა სელექციური აბორტის გამო. ამიტომ ჩემი დაბადება უფლის წყალობად მიმაჩნია. ოჯახში ვიყავით გოგოც და ბიჭიც. საზოგადოებისთვის ეს უკვე მისაღები იყო.

საზოგადოების აზრი

მახსოვს, ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ, როგორ იცოდებდნენ ჩემ მშობლებს „კეთილისმსურველები“, ერთი გოგოს ამარა, გვარის გამგრძელებლის გარეშე დარჩენილ ჩემ ოჯახს. ისიც მახსოვს, ჩემი ულამაზესი მეგობრების მამას, ზედმეტი სახელი, გოგოების სიმრავლის გამო, რომ შეარქვეს, ისიც მახსოვს, თავაწეულად მოსიარულე ბიჭის მამები, აბა როგორ, მემკვიდრეები ეზრდებოდათ. არადა საოცრად თბილები და განსხვავებულად ყურადღებიანები იყვნენ გოგოს მამები.

„გოგო გათხოვდება, ბიჭი სახლში რჩება“

„ბიჭი გვარს აგრძელებს“

„ბიჭია დაუთმე“

„ბიჭისთვის შეიძლება, გოგოსთვის არა“

ყველაფერზე ფილტრში გატარებული გოგო და უსაზღვრო თავისუფლება მიცემული ბიჭი.

კონტროლი ჩაცმაზე, ქცევაზე, კაფეში, ქუჩაში... უამრავი კონტროლი.

ოჯახის შექმნის მიზნით, უცნობი ან ნახევრად ნაცნობი ბიჭებისგან, მოტაცებული გოგოები, რას იტყვის ხალხის გამო შექმნილი უსიყვარულო ოჯახები.

ამ გადასახედიდან ეს ყველაფერი უფრო მძაფრად ჩანს, თორემ მაშინ თითქოს ასე უნდა ყოფილიყო.

ორი თაობა

ჩვენი თაობის მამების უმრავლესობა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ობლობაში და სიღარიბეში გაიზარდა. მერე თავისი შრომით მიაღწიეს ყველაფერს და ცდილობდნენ ბიჭებისთვის ის განცდები აერიდებინათ თავიდან, რაც თვითონ გაიარეს. ამიტომ ანებივრებდნენ და ბევრის უფლებას აძლევდნენ.

შედეგი

სწორედ ამ არასწორმა დამოკიდებულებამ განაპირობა, რომ ჩემი თაობის ბიჭების უმრავლესობა ვერ აღმოჩნდა მზად ახალი ცხოვრებისთვის, პასუხისმგებლობას მათი ოჯახის მოვლაზე და შვილების გაზრდაზე, მთლიანად მშობლები იღებდნენ თავის თავზე. უმრავლესობა დაიკარგა რეალობაში, წამალმა და არასწორმა საქციელმა შთანთქა მათი პიროვნებები. თავი ვერ გაართვეს მომავალს და ჩაიკარგნენ. სასაფლაოები გაივსო ავარიის, წამლის თუ ჩხუბის შედეგად გარდაცვლილი ახალგაზრდა ბიჭებით. ობლობაში გაიზარდა ჩემი შვილების თაობის ნაწილი და ამან ძალიან იმოქმედა მათზე.

ვფიქრობ სწორედ მამების დანაკლისმა განაპირობა, რომ ახალი თაობა საუკეთესო მეოჯახეები და მამები არიან. აღფრთოვანებას იწვევს მათი დამოკიდებულება ოჯახის და შვილების მიმართ.

ქალის შეფასება

დღესაც კი, როცა ძლიერ და ჭკვიან ქალს ვხვდებით, მას აფასებენ კაცის სიძლიერით.

- „კაცის ჭკუა აქვს“
- „ვაჟკაცი ქალია“
- „ძმაკაცივით გვერდში დგომა იცის“
- „კაცივით უძღვება ოჯახს“ და ამ დროს ოჯახის კარგი მართვა სწორედ ჭკვიან ქალზეა დამოკიდებული, რადგან ქალი ოჯახში მენეჯერიც არის, დიასახლისიც, კულინარიც, აღმზრდელიც, ზრუნავს კარიერაზე, განათლებაზე, მართავს კონფლიქტურ სიტუაციებს, ფიქრობს და წყვეტს ყველა საჭირბოროტო საკითხებს და ამ ყველაფერთან ერთად ქალობას ინარჩუნებს.

„ჭკვიან ქალს შეუძლია კაცის ღირსეულად წარმოჩინება“.

საზოგადოების დამოკიდებულება

- „ქალის ჭკუაზე დადის“
- „ქალი მართავს“
- „ქალს ვინ ეკითხება“
- „ქალმა გაზარდოს ბავშვები“
- „ქალი ვიცი სამზარეულოში“

რატომ ვერ, ან არ არიან ქალები უმრავლესობით პოლიტიკაში? მაშინ, როცა კაცი თავის განათლებაზე და კარიერაზე ზრუნავს, ქალი ემზადება:

- დედობისთვის,
- მშობიარობისთვის,

– ლაქტაციისთვის და შვილის გაზრდისთვის ეს სულ ცოტა 2 წელია, ორ შვილზე – 4 წელი. ამას ემატება უდიდესი პასუხისმგებლობა და ზრუნვა და ეს უკვე საკმარისი დროა უკან დაიხიო და წლები გამოტოვო.

ქალების 40-60% დასაქმებულია საჯარო სექტორში, მაგრამ არა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე. კაცი წყვეტს ქალის თანამდებობრივ მდგომარეობას. კაცები ადგენენ პარტიულ სიებს და მათი შეხედულების მიხედვით ხვდებიან ქალები საკანონმდებლო ორგანოებში.

რატომ უნდა იყვნენ ძლიერი და ჭკვიანი ქალები პოლიტიკაში?

- ქალი თავისი ფიზიოლოგიით და მენტალობით, დაბადებიდან დედობისთვის ემზადება
- დედა კი მშვიდობის მოყვარულია, შვილების კეთილდღეობისთვის
- დედა არასდროს იწყებს კონფლიქტებს და ომებს
- დედა მართავს კრიზისულ სიტუაციებს
- დედა არასდროს წავა რისკებზე, რაც მის შთამომავლობას დაუაზიანებს
- დედის ამომავალი წერტილი სოციალური პრობლემების მოგვარებაა
- დედა სოლიდარულია სხვა დედების მიმართ

ამიტომ, ქალი გადამწყვეტ პოზიციაზე ფიქრობს, უფრო მეტს და მისი პრიორიტეტები ბევრად განსხვავდება კაცის პრიორიტეტებისგან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალებს საზოგადოების ნაწილი არ აძლევს საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფილად რეალიზების საშუალებას. თაობათა ცვლამ შესაძლოა შეცვალოს არსებული ვითარება. თაობამ, რომელსაც კარგად ესმის, რატომ არის აუცილებელი გენდერული ბალანსი როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში.

ეკატერინე სუხიშვილი
„მეცნიერებათა სკოლის“ დირექტორი

„ომისგან მიღებული სტრესის მიუხედავად, ჩავერთე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვა დევნილი ქალების გააქტიურებასაც ვცდილობ“

„ქართულმა მედია ჯგუფმა“ ბოლო 5 წლის განმავლობაში 100-ზე მეტი ქალი გადაამზადა შიდა ქართლის სხვადასხვა სოფელში. ორგანიზაცია მუშაობის პროცესში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ომის შედეგად დაზარალებულ ადამიანებზე, ძირითადად ქალებსა და ახალგაზრდებზე. ერთ-ერთი ასეთია ალიონა ნუკრაძე, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს. ის იმ ძლიერი ქალების რიცხვს მიეკუთვნება, რომელმაც ომით მიღებული სტრესის მიუხედავად, ძალები მოიკრიბა და აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაერთო. მონაწილეობს „ქართული მედია ჯგუფის“ პროექტებში და ცდილობს დევნილთა თემში სასიკეთო ცვლილებები შეიტანოს.

„მიუხედავად იმისა, რომ დევნილობის შემდეგ უამრავი ტრენინგი გავიარე, მათ შორის გენდერულ საკითხებზე, „ქართული მედია ჯგუფის“ მიერ ორგანიზებული პროექტებიდან ბევრ სიახლეს გავეცანი, მივიღე ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საბჭოების შესახებ, რომელიც საკრებულოებშია შექმნილი, ტრენინგების შემდეგ მიღებული ცოდნა ჩემს დასახლებაში მცხოვრებ სხვა ქალებსაც გავუზიარე“ – ამბობს ალიონა ნუკრაძე.

– თუ ჰქონდათ ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საბჭოების შესახებ?

– სიმართლე გითხრათ ზოგადად იცოდნენ, რომ არსებობს ასეთი საბჭოები, თუმცა როგორ და რა პრინციპით მუშაობს, არ იციან.

– საიდან იღებთ ინფორმაციას, როდის ტარდება გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომები და რა საკითხები განიხილება?

– არ ვიცით ახლა როდის ჩატარდება კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა, არ დაუკონკრეტებიათ, მე პირადად ინტერნეტის საშუალებით ვიგებ ხოლმე როდესაც თარიღებს ავრცელებენ. აქვე დავამატებ, რომ ჩართული ვარ საბჭოს საქმიანობის მონიტორინგის პროცესში, რომელსაც პროექტის ფარგლებში ვახორციელებთ, შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში.

– ალიონა, თქვენ აქტიურად ხართ ჩართული სხვადასხვა სახის აქტივობაში, საკუთრი თემის ცხოვრებაში, რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროცესში ქალების მონაწილეობა?

– 2009 წლიდან, ომის შემდეგ, როდესაც დავსახლდით აქ, თითქმის ყველა ტრენინგს თუ საინფორმაციო შეხვედრას დავესწარი. წლების წინ ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო შემოსული, სხვადასხვა მიმართულებით ვიღებდით არაფორმალურ განათლებას, რამაც დარწმუნებით გეტყვით, რომ ჩვენს განვითარებას შეუწყო ხელი. გავიგეთ ბევრი ჩვენი უფლებების შესახებ, მნიშვნელოვანია მოსახლეობას ჰქონდეს გენდერულ საკითხებზე ცოდნა, ვერ ვიტყვი, რომ ყველა ქალი გამოხატავდა სურვილს დასწრებოდა ტრენინგებს, მაგრამ აქ მცხოვრებთა დიდი ნაწილი აქტიურობდა.

– რაც შეეხება დასახლების საერთო კრებებს, ამ მხრივ რა მდგომარეობაა, თუ აქტიურობენ დასახლებაში მცხოვრები ქალები და თუ იღებენ მონაწილეობას ბიუჯეტის დაგეგმვაში?

– ვერ გეტყვი, რომ აქტიურობენ, ნაკლებად.. მიზეზი ალბათ ნიჰილიზმია. ფიქრობენ, რომ მათი ხმა არ არის გადამწყვეტი, მაინც ის გაკეთდება, რაც ვიღაცას სურს, – ეს დამოკიდებულებებია, რაც ჩემის აზრით არასწორია.

– რას ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მეტი ქალი იყოს აქტიურად ჩართული თემის ცხოვრებაში?

– თავად ქალები უნდა იყვენენ აქტიურები. ეს არის მნიშვნელოვანი, როგორც ოჯახისთვის ისე იმ თემისთვის, სადაც ისინი ცხოვრობენ.

ესაუბრა შორენა ბიჭიკაშვილი

სირთულეებით სავსე გზა წარმატებამდე და ბრენდად ქცეული ჩვილის სამოსი საერთაშორისო გამოფენაზე

2008 წელს მომხდარი მოვლენების შედეგად დევნილი გავხდი. მანამდე ვცხოვრობდი და ვმუშაობდი ქურთის ადმინისტრაციაში (დიდი ლიახვის ხეობა). ჯერ კიდევ დამამთავრებელ კურსზე ვიყავი, უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, როდესაც დავიწყე აღნიშნულ სამსახურში მუშაობა, თუმცა ომის შემდეგ მე და ჩემ ოჯახს, მოგვიწია ქ.გორში დროებით საცხოვრებელში დასახლება, გაუსაძლის პირობებში. მე ჩვეულებრივ ვაგრძელებდი რამოდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფო სამსახურში მუშაობას დევნილობის დროსაც, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს სრულიად უსაფუძვლო და ახსნა – განმარტების გარეშე მოხდა ჩემი სამსახურიდან გათავისუფლება. ეს იყო ჩემთვის უდიდესი სტრესი და სასოწარკვეთის დიდი საფუძველი, რადგან მე და ჩემი ოჯახი, სადაც მე და დედა შევდიოდით და რომელიც იყო უმუშევარი და პენსიონერი, თავს ვირჩენდით ჩემი შემოსავლით. ეს იყო ერთადერთი წყარო ჩვენთვის, თავი რომ გაგვეტანა უსახლკარობის ჟამს. იმდენად მოულოდნელი და მტკივნეული იყო ჩემთვის იმის გააზრება, თვის ბოლოს რომ შემოსავალს ვერ მივიღებდი და ეს მოხდებოდა სრულიად უსამართლოდ, რომ ჩემ თავს მივეცი იქვე პირობა, აღარასოდეს დავბრუნდებოდი სახელმწიფო სამსახურში. უნდა მომეფიქრებინა ისეთი რამ, რაც ჩემზე გახდიდა ჩემივე შემოსავალს დამოკიდებულს და არა „ვიღაც ჩინოვნიკის“ გადასაწყვეტი იქნებოდა, რომელიც ნებისმიერ დროს შეძლებდა ჩემ უსამართლოდ განთავისუფლებას.

ასე მივედი იმ ფიქრებამდე, რომ საკუთარი იმჟამინდელი ჰობი მექცია ბიზნესად, სადაც არა მარტო მე ვიქნებოდი დასაქმებული, არამედ სხვა ადამიანებსაც მივცემდი ჩემთან დასაქმების შესაძლებლობას.

ასეც მოხდა. გადავწყვიტე მომეძიებინა სახელწიფო კოლეჯი ჩემ საცხოვრებელთან ახლოს და დამეწყო ჩემი ჰობის პროფესიონალურ დონეზე შესწავლა (ჭრა-კერვის კურსი). ჩავაბარე აღნიშნულ კურსზე, მოვიპოვე სრული დაფინანსება და დავიწყე სწავლა. ეს იყო ჩემ ცხოვრებაში ყველაზე საამაყო ნაბიჯი და სწორი არჩევანი პროფესიული კუთხით. მე პროფესიულმა სასწავლებელმა სრულიად დამავიწყა ჩემი უმაღლესი, იმდენად საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა ის ჩემთვის. თუმცა სწავლიდან რამოდენიმე თვეში გარდამეცვალა სრულიად მოულოდნელად ჯანმრთელი და საღ-სალამათი დედა. დედა, რომელიც ამ სამყაროში მხოლოდ ის მყავდა და სხვა არაარ ჩემთვის, მითუმეტეს უცხო ქალაქში, სადაც არც მეგობარი და არც ნათესავი არ გამაჩნდა. მიუხედავად ამ მძიმე ცხოვრებისეული პერიოდისა, როგორც ემოციური, ასევე ეკონომიკური, მე არცერთი ნამი არ მიფიქრია იმ გეგმების და სწავლის მიტოვებაზე, რაც დედასთან ერთად დავისახე. დღემდე ასე გრძელდება, მიუხედავად ძალიან ბევრი ბარიერისა.

წარმატებით დავასრულე კურსი და დასრულებისთანავე კოლეჯში შემოვიდა USAID, რომლიც ახორციელებდა გადამზადების პროგრამას. წარმატებით გავლის შემდგომ, კურსდამთავრებულს გადაეცემოდა თანამედროვე საკერავი მანქანა. როდესაც ეს შევიტყვე იმ წამსვე ვიფიქრე ეს შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაგამეშვა, რადგან იმ დროს მე ვერ შევიძენდი აღნიშნულ საკერავ მანქანას და ვერც დავიწყებდი ჩემი მიზნების განხორციელებას. მოვხვდი რა თქმა უნდა აღნიშნულ კურსზე და წარმატებით გავლის შემდგომ გადმომეცა ჩემთვის ნანატრი საკერავი მანქანა.

სიტყვებით ვერ გამოვთქვამ ამ ბედნიერ წამებს. ზუსტად ორ კვირაში ჩემივე დასახლებაში მოვიძიე 6 კვ ფართი და ვიქირავე, სადაც გავხსენი პატარა ატელიე, არ ვიცოდი ე.წ ქირას როგორ და რითი გადავიხდიდი, თვის ბოლოს მე ხომ მხოლოდ 35 ლარი მქონდა შემოსავალი, ისიც დევნილობის შემწეობა. თუმცა ამაზე ნაკლებად ვფიქრობდი, მე ხომ ის მიზნები მქონდა განსახორციელებელი, რაც დედასთან ერთად დავგეგმე.

გახსნიდან ზუსტად 6 თვეში ჩემივე პატარა ატელიეში დავასაქმე ჩემი ყოფილი კურსელები და თავად გადავწყვიტე ამ სფეროში ცოდნა ამემაღლებინა და ასევე, როგორც მეწარმეს მიმეღო სხვადასხვა პროექტებიდან ცოდნა და გამოცდილება. ჩემ ატელიეში ამჟამად არაერთი ქალია დასაქმებული და მათ აქვთ სტაბილური შემოსავალი, რითიც ძალიან ბედნიერი ვარ.

ქალთა დასაქმება და განვითარება აუცილებელია, რადგან რაც მეტი რეალიზებული ქალი ეყოლება ქვეყანას, მეტად სწრაფად წავალთ წინ როგორც ქვეყანა, თუმცა ამისთვის სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს აქტიური ჩართულობა ქალთა გაძლიერების, განსაკუთრებით რეგიონებში, ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ამჟამინდელ რეალობას და მიზნებს, ვმუშაობთ როგორც ინდივიდუალურ შეკვეთებზე, ისე – კორპორატიულზე. წინა წლის შემოდგომიდან ჩავუშვით მასიური წარმოების ხაზი ჩვილი ბავშვის სამოსის, რაც საქართველოში სამწუხაროდ არ არის. ჩვენ ვართ პირველები, ვინც ამ პროდუქტის წარმოება დაიწყო. ასევე ჩვენი ბრენდი გამოირჩევა იმით, რომ არის სრულიად ეკო-მეგობრული, მაღალი ხარისხის ნატურალური ქსოვილებიდან შეკერილი ჩვილი ბავშვის სამოსი, რომელზეც მოქარგულია ქართული ტრადიციული ორნამენტები. 8 თვეც არაა აღნიშნული ბრენდის დაარსებიდან და ჩვენ აქტიურად ვიღებთ მონაწილეობას, როგორც ადგილობრივ მასშტაბურ გამოფენებში, ასევე უცოეთში. მაგალითად, პირველი ჩვენი გამგზავრება ყველაზე მასშტაბურ გამოფენაზე, მოვხვდით კონკურსის წესით ჩინეთში გამართულ გამოფენაში, რომელიც წელს, ივნისის 1,2,3 რიცხვებში გაიმართა და რომელიც ძალიან წარმატებული იყო, ვგეგმავთ ბრენდის გაფართოებას და ექსპორტზე გასვლას.

სოფიო ტუაევი

სამაჩაბლოდან დევნილი

ქალს საკუთარი შემოსავლი უნდა ჰქონდეს, მიზნის მიღწევა კი ბევრ შრომას მოითხოვს“ – ნინო უმეკაშვილის საქმედ ქცეული ბავშვობის გატაცება

ნინო უმეკაშვილი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევიდანაა. ჭრა-კერვა მისი ბავშვობის დროინდელი გატაცება იყო და ოცნებობდა, რომ მომავალში ამ სქმეს გაჰყოლოდა. გარშემომყოფთა სტერეოტიპულმა დამოკიდებულებებმა წლების განმავლობაში ბევრ რამეზე ათქმევინა უარი. სოფელში დამკვიდრებულმა დოგმად ქცეულმა ცხოვრების წესმა, როგორც ქალს არ მისცა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება, იქამდე ვიდრე თავად არ გააანალიზა, რომ მიზნის მიღწევა ნამდვილაად შეეძლო და ამისთვის მისი მხრიდან მხოლოდ ბევრი შრომა იყო საჭირო.

ამჟამად, მას მშობლიურ სოფელში სამკერვალოც აქვს გახსნილი და ამ საქმეს ახალ თაობასაც ასწავლის. ამბობს, რომ ქალს საკუთარი შემოსავალი, ყოველთვის უნდა ჰქონდეს და თავის მოსწავლეებთანაც ამ შთაგონებით მუშაობს. უფრო ვრცლად რა გზა გაიარა ნინო უმეკაშვილმა მიზნის მისაღწევად, ჩვენი გაზეთის მკითხველს უზიარებს.

– როდის გახსენით სამკერვალო და საიდან გაჩნდა იდეა?

– 2016 წელს, ხელოვნების სკოლა მქონდა გახსნილი და ბავშვები დიდი სიხარულით აკეთებდნენ იმ საქმეს, რასაც ვასწავლიდი. ამიტომ გადავწყვიტე უფრო მნიშვნელოვანი გამეხადა ჩემი საქმე და „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში, 2018 წელს მოვიგე გრანტი და გავხსენი სამკერვალო, რათა ჩემივე ნასწავლი ბავშვები სამომავლოდ დამესაქმებინა კიდეც.

– ამ პერიოდის განმავლობაში რამდენ ბავშვს ასწავლეთ კერვა, თექაზე მუშაობა, ხელოვნება?

– ამ პერიოდის განმავლობაში 200 მდე ბავშვს შევასწავლე ხატვა, ხეზე ჭრა, ქსოვა, თექა, ჭრა-კერვა. აქტიურად ვმონაწილეობდით ჩვენი რეგიონის ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებზე.

– ალბათ რთული იყო საკუთარი ძალებით საქმის დაწყება, როგორ გაიარეთ ეს გზა?

– ჩემი განვლილი გზა საკმაოდ რთული იყო. ეს საქმიანობა მხოლოდ მაშინ დამიფასდა, როდესაც ტურისტულ ბაზრობებზე ვმონაწილეობდი. სოფლის მაჟორიტარმა საკრებულოში ასმათ ტალახაძემ კულტურის სახლში იჯარით ოთახი გამომიყო და გავხსენი სკოლა.

– რატომ არის მნიშვნელოვანი ქალს საკუთარი საქმე ჰქონდეს, იყოს დამოუკიდებელი?

– მნიშვნელოვანია, ქალი დამოუკიდებელი უნდა იყოს და საკუთარი საქმე უნდა ჰქონდეს. არ უნდა შეუშინდე ცხოვრებაში სირთულეებს და დასახულ მიზანს უნდა მიაღწიო.

– რა სურვილები და მიზნები გაქვთ?

– სურვილები და მიზნები დღესაც მაქვს. მინდა ჩემი სკოლა საუკეთესო იყოს და ბავშვებს შევაყვარო ხელოვნება და ყველა ის საქმე, რაც ცხოვრებაში გამოადგებათ. ასევე მსურს, რომ ყველა ქალი იყოს რეალიზებული და არ შეშინდნენ სირთულეებით. თუ აღმოაჩენენ საყვარელ საქმეს და ამ მიმართთულებით განვითარდებიან, ყოველთვის ექნებათ წარმატებები.

ესაუბრა
შორენა ბიჭიკაშვილი

„ვფიქრობ, ახალ თაობას გენდერული სტერეოტიპებით გამოწვეული ბარიერები აღარ შეხვდება“

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ჭალის თემში მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციაში ვმუშაობ. ამ პოზიციაზე ყოფნისას, ამ დრომდე არაერთი სირთულე შემხვედრია.

რადგან გვიწევს ფიზიკურად გარკვეული სამუშაოს შესრულება, როცა ტერიტორიულ ორგანოში შემოდის შვიდი სოფელი, გადაადგილების პრობლემაა, იქ მთაა, ღამეა, ხანძარია და ა.შ

საორგანიზაციო საკითხებში კაცს მეტწილად ქალი შეიძლება ჯობდეს, როგორც საზოგადოებაში, ისე ოჯახში. თუ ქალი „არ ვარგა“ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ოჯახი წარმატებული იყოს. ქალზეა ოჯახში ძალიან ბევრი რამე დამოკიდებული.

მოდის ახალი თაობა, ამ შემთხვევაში გოგოებზე გავამახვილებ ყურადღებას, რომლებიც უფრო მოტივირებულები და ძლიერები არიან, ცდილობენ დაამსხვრიონ სტერეოტიპები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მგონია, რომ ამ ახალგაზრდობისთვის ბარიერები არ არსებობს, რაც ძალიან მომწონს, ჩემი თაობის და კიდევ უფროსი თაობის ხალხი უფრო სხვა მენტალიტეტის და ტრადიციებისაა, რადგან თვლიან, რომ ყველაფერი ქალისთვის არ არის და არ შეიძლება.

მე ვფიქრობ, თითოეული ადამიანი უნდა იყოს ძლიერი, თუ თვითონ მოინდომა ბარიერს მარტივად გადალახავს.

მე პირადად ძალიან აქტიურად ვარ ჩართული ჩემი თემის განვითარებაში და ამით მაგალითს თანასოფლელ სხვა ქალებსაც ვაძლევ. ვიყავი გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრიც. არის საკითხები, რომლებიც ისევ პრობლემად რჩება, აქაც სამწუხაროდ ისევ დარღვეულია გენდერული ბალანსი.

ალბათ დროთა განმავლობაში ამ მხრივ სიტუაცია საგრძნობლად შეიცვლება, ვცდილობ ამ პროცესში მეც ჩემი წვლილი შევიტანო.

მარეხ ყამბეგაშვილი
მერის წარმომადგენელი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ჭალის თემში

როგორ ცხოვრობენ ქალები საოკუპაციო ხაზთან და დევნილთა დასახლებებში? – უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის – „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისათვის საქართველოში“ ლოკალიზაციის კომპონენტის ფარგლებში, ანგარიში გამოქვეყნდა, რომელსაც მხარს უჭერს დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდი. პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია – იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, ქალთა საინფორმაციო ცენტრი და ქალთა ფონდი „სოხუმი“.

კვლევის ძირითადი მიზანი ცხინვალის რეგიონში, საოკუპაციო ხაზთან და დევნილთა დასახლებებში მოსახლეობის მდგომარეობის შესწავლა და გენდერული განზომილებების გამოვლენა იყო. ანგარიშში ერთ-ერთი თავი გენდერულ **ძალადობას და მხარდაჭერის სერვისებს** ეთმობა.

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებს დაუსვეს შეკითხვა მათ თემში ქალთა მიმართ სხვადასხვა ტიპის ძალადობის შესახებ. საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმა ოჯახში ძალადობაა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, მხოლოდ **2021 წელს აღირიცხა 6 940 ქალი**, რომლებიც გახდნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი. როდესაც რესპონდენტებს დაუსვეს შეკითხვა, თუ რამდენად არის გავრცელებული ოჯახში ძალადობა მათ თემში, ორივე სამიზნე ჯგუფმა მსგავსი პასუხები გასცა – გამყოფ ხაზთან მცხოვრები რესპონდენტების 41%-მა და დევნილთა დასახლებებში მცხოვრებ ქალთა 39%-მა აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობა არ არის უმთავრესი პრობლემა მათ სოფლებსა თუ თემებში. თუმცა, როდესაც მომდევნო შეკითხვით დაზუსტდა ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები, კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათ თემში ყველაზე მეტად გავრცელებულია ფსიქოლოგიური და ფინანსური ძალადობა, როგორც ეს ნაჩვენებია **პირველ დიაგრამაში.**

დიაგრამა 1



ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები:

საინტერესოა, რომ ფიზიკური ძალადობის თაობაზე ისაუბრა უფრო მეტმა დევნილმა ქალმა (28%), ვიდრე იმ ქალებმა, რომლებიც გამყოფ ხაზთან ცხოვრობენ (14%). ამის საწინააღმდეგოდ, ცხინვალის რეგიონში, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებმა ქალებმა უფრო დიდ გამოწვევად დაასახელეს ფსიქოლოგიური ძალადობა (77%), ვიდრე დევნილმა ქალებმა (65%). მხოლოდ რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ მათ თემებში არსებობს ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტები, როგორიცაა გაუპატიურება, სექსუალური შევიწროება/ადევნება და ასეთი ფაქტები შედარებით მეტია დევნილთა დასახლებებში, ვიდრე გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში. საერთო ჯამში, რესპონდენტების ნახევარზე მეტს ჰქონდა ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის მომსახურებების თაობაზე, თუმცა შედეგები განსხვავდება მომსახურებების ტიპის მიხედვით, როგორც ეს ნაჩვენებია **მეორე დიაგრამაზე.**

ძალადობის მსხვერპლთათვის მხარდაჭერის სერვისებზე წვდომა:

ამასთან დაკავშირებით, ორივე სამიზნე ჯგუფში ქალები უფრო მეტად ინფორმირებულნი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული მომსახურებების შესახებ, ასევე, იურიდიული დახმარების სერვისების და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის თაობაზე.

როგორც შედეგები გვიჩვენებს, საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა, რათა გაიზარდოს ცნობადობა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სხვა მომსახურებების შესახებ, როგორიცაა „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრები და მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული პროგრამები. აღსანიშნავია, რომ დევნილი ქალები უფრო მეტად ინფორმირებულნი აღმოჩნდნენ ამ კითხვაში ჩამოთვლილი მომსახურებების უმეტესი ნაწილის თაობაზე, ვიდრე ის ქალები, რომლებიც ცხოვრობენ ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში, გარდა იმ მხარდაჭერის მომსახურებებისა, რომელსაც ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები; ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ საჭიროა უფრო მეტი ინვესტიციის განხორციელება, რათა გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრებ ქალებს შორის უკეთ გავრცელდეს ინფორმაცია სხვადასხვა ტიპის მომსახურებების თაობაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც პირველ დიაგრამაზეა ნაჩვენები, ქალები განიცდიან სხვადასხვა ფორმის ძალადობას, რაც აუცილებლად უნდა იყოს მხედველობაში მიღებული მხარდაჭერის სერვისების შემუშავებისას და მიწოდებისას იმისათვის, რომ უკეთ მოხდეს მათ საჭიროებებზე რეაგირება. შესაბამისად, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ფსიქოლოგიურ დახმარებას, განსაკუთრებით კონფლიქტით დაზარალებულ თემებში, რომლებიც ამგვარ დახმარებას საჭიროებენ კონფლიქტებით გამოწვეულ ტრავმების გამო.

მართალია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის/მსოფლიო ბანკის 2017 წლის ანგარიშში („გენდერული ძალადობა საქართველოში: კავშირები კონფლიქტებს შორის, ეკონომიკური შესაძლებლობები და მომსახურებები“) საუბარია იმაზე, რომ საქართველოში კონფლიქტით დაზარალებული და დევნილი პირები არ მიუთითებენ გენდერული ძალადობის შემ თხვევებზე, მაგრამ სხვადასხვა მონაცემების გაანალიზებისა და შედარების შედეგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ

დიაგრამა 2



დიდი ალბათობით, ზოგადად არ ხდება გენდერული ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება და გაცხადება. თუმცა, ბოლო წლებში შეინიშნება გარკვეული გაუმჯობესება ამ მიმართულებით. კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული, არის ის, რომ რთულია ფსიქოლოგიური ძალადობის დამტკიცება და ხშირ შემთხვევაში არ ხდება ამგვარი ტიპის ძალადობის ოფიციალური აღრიცხვა და შესაბამისად – არც მასზე რეაგირება. მსგავსი პრობლემები უკავშირდება ფინანსურ ძალადობასაც, რომელსაც ქალები განიცდიან ოჯახში, როდესაც მათ აიძულებენ, რომ გამომუშავებული თანხა გადასცენ მეუღლეებს, ან როდესაც არ აძლევენ მუშაობის უფლებას, რაც შესაძლებლობას მისცემდათ გამხდარიყვნენ ფინანსურად დამოუკიდებელნი.

დასკვნები და რეკომენდაციები:

კვლევის მიგნებები გვიჩვენებს, რომ ცხინვალის რეგიონის/გამყოფ ხაზთან და დევნილთა დასახლებებში მცხოვრები თემებისთვის მთავარ მოთხოვნად რჩება წვდომა მომსახურებებზე და ინფრასტრუქტურული განვითარება, მათ შორის, ჯანდაცვის, კომუნიკაციებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობების მიმართულებით; ასევე საგზაო, სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო სექტორები. ზოგადად, გამყოფ ხაზთან მცხოვრები თემები ყველა ამ მიმართულებით უფრო მეტ პრობლემას აწყდებიან დევნილთა დასახლებებთან შედარებით. თუმცა, გასათვალისწინებელია დევნილთა დასახლებებს შორის არსებული მნიშვნელოვანი სხვაობა, სადაც თვალშისაცემი უთანასწორობაა სასოფლო და ურბანულ რაიონებს შორის, როდესაც საქმე ეხება თითქმის ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და საჯარო ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობას. გაჭიანურებული კონფლიქტი განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს კვლევის სამიზნე ჯგუფებზე. თუკი დევნილებს მოუწიათ მთელი მათი ქონების დატოვება იძულებითი გადაადგილებისას, ცხინვალის რეგიონის/გამყოფ ხაზთან მცხოვრებ პირებს მუდმივად უწევთ ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესის შედეგებთან გამკლავება, რაც გავლენას ახდენს, როგორც მათ პირად და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, ასევე, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. შედეგად, ადამიანთა მზარდი რაოდენობისთვის, სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამები შემოსავლის ძირითად წყაროდ რჩება. მეორე მხრივ, მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები ხელს უშლის დევნილთა ჩართულობას სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებში. კვლევამ გამოავლინა გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებული სისტემური პრობლემები, რაც გავლენას ახდენს ქალთა პირად უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ სტაბილურობაზე. მართალია, შეინიშნება გარკვეული წინსვლა ფიზიკური ძალადობის აღრიცხვისა და მასზე რეაგირების თვალსაზრისით, თუმცა გენდერული ძალადობის სხვა ფორმები, კერძოდ კი ფსიქოლოგიური და ფინანსური ძალადობა, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გამოკითხულ კონფლიქტით დაზარალებულ ქალებს შორის. ქალებმა ფინანსური ძალადობა (დასაქმების ან საკუთარი შემოსავლის მართვის უფლების რეალიზების შეზღუდვა) და მიწის საკუთრების საკითხებთან დაკავშირებული ხელმისაწვდომი სესხების ნაკლებობა დაასახელეს იმ ასპექტებად, რაც გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ არასტაბილურობაზე. ცხინვალის რეგიონის/გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში და დევნილთა დასახლებებში მცხოვრები ქალებისგან მოპოვებული მონაცემების გაანალიზება გვიქმნის ზოგად წარმოდგენას იმ საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ, რასაც ეს თემები აწყდებიან. კვლევამ ასევე გამოავლინა ის სფეროები, რომელთა დამატებითი გამოკვლევის შედეგად, შესაძლოა შემუშავდეს უფრო მეტად ინდივიდუალური მიდგომები, რათა მოხდეს კონფლიქტით დაზარალებული თემების კონკრეტულ საჭიროებებზე რეაგირება.

გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე, ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ზოგადი რეკომენდაცია: შემუშავდეს ინდივიდუალური მიდგომა, რათა მოხდეს კონფლიქტით დაზარალებული თემების კონკრეტულ საჭიროებებზე რეაგირება სასოფლო და ურბანულ რაიონებში, ისევე, როგორც სხვადასხვა ტიპის დევნილთა დასახლებებში (კოლექტიური ცენტრები და სოფლის ტიპის დასახლებები). გაიზარდოს წვდომა ხარისხიან ჯანდაცვაზე და სხვა საჯარო ინფრასტრუქტურასა და მომსახურებებზე რეგიონებში, მათ შორის, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში და სოფლის ტიპის დევნილთა დასახლებებში. ჩატარდეს დამატებითი კვლევა და მოხდეს გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეების გავლენის გათვალისწინება პირად უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ სტაბილურობაზე იმისათვის, რომ შემუშავდეს ინდივიდუალური მხარდაჭერის სისტემა. ქალებისთვის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შემუშავებისას, მხედველობაში იქნას მიღებული სისტემური გენდერული უთანასწორობა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები. გაიზარდოს წვდომა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის პროგრამებზე და შემუშავდეს სხვადასხვა ტიპის პროგრამები იმისათვის, რომ მოხდეს რეაგირება ძალადობის სხვადასხვა ფორმებზე, მათ შორის ფსიქოლოგიურ და ფინანსურ ძალადობაზე. გაუმჯობესდეს ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების და არსებული მხარდაჭერის სისტემების შესახებ დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ თემებში.

ნინო ჩიბჩიური

ნუ წავართმევთ ბავშვებს ბავშვობას!

ნაადრევი ქორწინების შედეგებით ყოველწლიურად მსოფლიოში 12 მილიონზე მეტი გოგონა ხდება ადრეული თუ იძულებითი ქორწინების მსხვერპლი. ამ ქვეყნების სიაში გამონაკლისი არც საქართველოა და ევროპის ქვეყნებს შორის ერთ – ერთი გამორჩეულია პროცენტული თვალსაზრისით (17%).

პრობლემა მწვავედ დგას როგორც, განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.

როდის თხოვდები? – მსგავსი მიდგომები ხშირად ნათესავების მხრიდან კი არა, არამედ მშობლებისგანაც მოდის. ქალის ცხოვრების მთავარი ამოცანა გათხოვება, შვილების გაჩენაა და ხშირად ამ ფუნქციას მას მოვალეობად აკისრებენ. ქალმა საკუთარი ფუნქცია უნდა იცოდეს. გათხოვების გარდა, სხვაგან ბედნიერებას ვერ ხედავენ და ვერ იაზრებენ თუ რა შედეგებამდე მიიყვანს მას ისეთი სახის ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ტრავმები, როგორებიცაა: სოციალური იზოლირება, პიროვნული განვითარების ნაკლებობა, ფუნდამენტური უფლებების დაკარგვა და ა.შ

ან გაგიმართლებს და ან არა – ხშირია, როდესაც სწორედ მშობლებს მიუძღვით შვილების ადრეული ასაკში ქორწინებაზე დიდი წვლილი. ძალადობის რისკების წინაშე დადგომა, სქესობრივი კავშირი, შიში, ინფორმაციის ნაკლებობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმები, სოციალური ფონი, სიდუხჭირე – თითოეულ ამ გარემოებას მსხვერპლი გადის.

აუცილებელია სკოლის პერიდოში გატარდეს რეფორმა, რომელიც მორგებული იქნება სქესობრივ და რეპროდუქციული ჯანმთელობის თემებზე, რაც თავისთავად ემსახურება მიზანს – ჯანმთელობის უფლებას. თავიდან იყოს აცილებული სხვადასხვა სექსუალური გზით გადამდები ინფექციები და არასასურველი ორსულობა.

სასწავლებლის მიღმა დარჩენა, შიშის და სირცხვილის ფაქტორი, „გათხოვილმა და ორსულმა სკოლაში, როგორ ვიარო“, ხშირ შემთხვევაში მსხვერპლისგან კი არა, არამედ მისი ქმრისა და ოჯახიდან მომდინარეობს, რომელიც გოგონას ამ უფლებას უზღუდავს. ასევე მნიშვნელოვანია წყვილებს შორის, დროთა განმავლობაში ღირებულებების გადაფასება.

ამისთვის, საჭიროა ცნობიერების ამაღლება, გოგონას აღზრდასთან დაკავშირებით. არ დაუკარგონ ნიჭი და შესაძლებლობები სოციუმში, საკუთარი თავის რეალიზების მიზნით, ყველა ადამიანშია, რაღაც შესაძლებლობა, მთავარი – მისი აღმოჩენაა.

ამ დარღვევებს განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ სოფლებში აქვს ადგილი ოჯახის წევრების მხრიდან.

ძველი ტრადიციები, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გოგონებს კონსტიტუციით მინიჭებულ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებას ართმევს, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო კონვენციებს, რომლის ხელმომწერი საქართველოცაა.

მდგომარეობის აღმოსაფხვრელად აუცილებელია, როგორც სკოლის პერიოდში, ასევე ოჯახსა და საზოგადოებაში, ცნობიერების ამაღლება ტრენინგ-სემინარებით და რეფორმების გატარებით, ისე როგორც – საინფორმაციო თუ საგანმანათლებლო კამპანიების ამოქმედება და კანონის გამკაცრება. დღეს ახალმა თაობამ გაცილებით მეტი იცის, თუ რა პრობლემების თავიდან აცილებაა შესაძლებელი გაუაზრებელ გადაწყვეტილებებზე უარის თქმით.

ერთი შეხედვით კეთილის მსურველთა დამოკიდებულებები, ხშირად გოგონებს არასწორ შეხედულებებს უყალიბებს და თავისუფლების უფლებას უზღუდავს. ყველა არასრულწლოვანის უფლება უნდა იყოს დაცული, ისე როგორც სრულფასოვანი მოქალაქის. ქორწინება – ეს არის ორი ადამიანის სიყვარულის კავშირია და არა ძალადობის ერთ – ერთი ფორმა. ყველა გოგონას აქვს სწავლისა და განვითარების უფლება, რასაც ხშირად სწორედ ადრეული ქორწინება აფერხებს.

ირინა ხმიადაშვილი

ქალი როგორც მოქალაქე

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ღელავს ქალთა საკითხი საზოგადოებაში და დღესაც იგი გადაუწყვეტელია. დღევანდელი უკეთესმართი ცივილიზაცია ჯერ კიდევ ასე ცალმხრივათ განვითარებული, ქალის შესახებ სდუმს, და ვერ გამოუყენებია მასში დამარხული ძალები რომლებიც თავდებია საზოგადოების გაკეთილშობილებისა და უხეშობის მოსპობისა. ქალთა უფლებით აღჭურვა თანასწორათ მამაკაცთან აუცილებელია, თუ კაცობრიობას არ უნდა მუდამ იყვეს – ჩლუნგი იარაღი ძალმომრეობისა.

დიდი შეცდომაა აზრი, როდესაც ვლაპარაკობთ მამრობითი სქესის ქალთა უპირატესობაზე. ეს მით უფრო ვითომ ვადარებდეთ ერთსა და იმავე თვისებას, ერთის თვისება შეადგენს მეორეს დამატებას და საერთოდ იქმნება სრულყოფა და ამ ორ სქესთა ბედნიერებაც დამოკიდებულია იქიდან, რომ ისინი ღებულობენ ერთი მეორისგან მხოლოდ მას, რასაც თვითეული მათგანი იძლევა.

ჩვენ ხშირად გვესმის ქალის „დანიშნულებაზე“ და მის უფლებებზე ვითომც ისინი გამოყოფილი უნდა იყოს კაცის უფლებათა და დანიშნულებისაგან, ვითომ ქალი და კაცი სხვადასხვა არსებანი იყვნენ სხვადასხვა მოთხოვნილებით, რომელნიც ერთმანეთს ვერ ურიგდება. ეს სრულიად უსაფუძვლოა. მით უფრო უაზრობა და უსამართლობაა ვიფიქროთ რომ ვითომც ქალებს არ ჰქონდეთ რაიმედ დამოკიდებულება ცოდნის უმაღლეს ფორმებბთან, რომელნიც ზრდის და ანვითარებს კაცობრიობას ზნეობრივად და სულიერად, მით უმეტეს ბოროტებაა, თუ მამაკაცები ფიქრობენ, რომ ქალი მხოლოდ მონურად ემორჩილებოდეს მას, და მისი მოქმედება ისაზღვრებოდეს ოჯახური ცხოვრებით.

დიახ ეს დიდი შეცდომაა ქალების შესახებ, იმიტომ რომ ისინი არიან შექმნილი თანაშემწეთ და ამხანაგათ მამაკაცისა. და განა შეიძლება მონა იყოს ღირსეული ამხანაგი?

არასოდეს. ამიტომ თუ გვინდა გავაფართოვოთ საზღვრები ადამიანის შემოქმედების უნდა ვეცადოთ ქალის მოქალაქობრივ გავლენის გაძლიერებას, რადგან გვიან იქნება მაშინ როდესაც ასეთის მოთხოვნილება დიდი იქნება და ქალები მომზადებული კი არ იქნებიან. ქალის დანიშნულება ამ შემთხვევაში ასეთია: იგი აძლევს ფორმას ცოდნას და რაიმეს სასარგებლოთ მოხმარას სილამაზეს ე.ი. მათი მეოხებით ჩვენთვის თვალსაჩინოა ისეთი საგნები, რომლებიც თვით მეცნიერებითაც ძნელი იქნებოდა მათი აღწერა, ისინი ალამაზებენ და აფასებენ როგორც მას, თუ რა აკმაყოფფილებს და ხელს უწყობს ყოველდღიურ ცხოვრების საჭიროებას, არამედ მასაც თუ რა მატერიალისგან კეთდება ამ საჭიროების დამაკმაყოფილებელი საგნები.

ამიტომ არამც თუ სამართლიანობა არამედ ის რომ ხალხის მუშაობა იყოს სასარგებლო, მოითხვოს ქალთა თანასწორი უფლებით აღჭურვას მართვა გამგეობაში. ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე მართვა-გამგეობა უხეშ ძალაზეა დამყარებული და ამის გამო ცხოვრებაც ასე მოსაწყენი და ტლანქი რომ არის...

ფილოსოფოსი სოკრატი აქვს ნათქვამი: „საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს წესწყობილება, თუ იგი მხოლოდ დამყარებულია ძალაზე და არა დარწმუნებით მოქმედებაზე, იგი არის აქტი ძალდატანებისა და არა კანონიო“ საზოგადოთ ცივი და მძაფრი ჭკუა მამაკაცებისა ძალდატანების კანონებს ჰქმნინდენ, მაგრამ გაქრება ეს თუ ამას დავურთავთ ქალთა მგრძნობიარე გულით და სულით ზეგავლენას მოვახდენთ კავშირის სხვადასხვა ნიჭისა დაგრძნობისას, რომ კაცობრიობამ მოიკრიბოს ყოველმხრივი ძალა, ცხოვრების უსამართლობასთან ბრძოლაში.

თვით კერძო ცხოვრებაში არც ერთ მამაკაცს არ უტარებია ცხოვრება სისწორით, თუ მას არ მფარველობდა ქალის მოსიყვარულე გული, თუ მას ქალის გამბედაობა და კეთილი გონიერება არ ხელმძღვანელობა.

ასეთი იქნება მათი როლი მართვა გამგეობაშიც. და ამიტომ სულით და გულით უნდა მივისწრაფოდეთ ისეთი წესწყობილებისაკენ, სადაც ქალებს ექნებათ, თანასწორი უფლებანნი, რომ მამაკაცებს გვერდში ამოუდგეს ღირსეული თანაშემწენი რომელთა გული სავსეა ლმობიერებით რაც აუცილებელი საჭიროა ცხოვრებაში ერთმანეთთან დამოკიდებულების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობის ხვედრი ისევ მკაცრი იქმნება და მამაკაცნი საბრალო არსებანი.

გ. ბრეგაძე
1917 წელი, გაზეთი №5

გაზეთი გამოიცემა „ქართული მედია ჯგუფის“ პროექტის („ხმა ქართველი ქალისა“ – ფემინისტური მედია შიდა ქართლში") ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია "ქალთა ფონდის" მიერ

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA